F 36+ 00 5135 2

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჲლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 1 (185)

იანვარი, 1968 წელი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 1968 წლის ოქტომბერში აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავი.

შეიქმნა მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე, თავმჯდომარის მოადგილეები არიან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ვეკუა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა.

ახალი ქარხანა

რუსთავი. მთავარი არხის რაიონში გაძლიერებული ტემპით შენდება დიდი ქარხანა — რუსთავის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა, რომელიც დაიკავებს რამდენიმე ათეულ ჰექტარ ტერიტორიას.

ქარხანა თავისი პროდუქციით მოამარაგებს რესპუბლიკის ყველა საწარმოს, რომლებსაც ჩარხმშენებლობის პროფილი აქვთ. ფასონური სხმული ჩარხების დეტალებისათვის, ჩარჩოები ელმავლებისათვის, კორპუსები ელექტროძრავებისათვის, დგანები ჩარხებისათვის — აი საწარმოს მომავალი ნომენკლატურის არასრული ნუსხა.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის მომავალ გოლიათს აშენებს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის ათი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაცია. უკვე მზად არის ქარხნის ყველა ძირითადი საამქროს — სადნობი, საყალიბე, შემოსაჭრელი საამქროების, მექანიკური საამქროს დამხმარე კორპუსების, ელექტროსახელოსნოების, საკომპრესორო სადგურის კარკასები. დამთავრდა სიმძლავრეთა მონტაჟი ძალურ ქვესადგურში, რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველყოფს არა მარტო თავის საწარმოს, არამედ მეზობელ ქარხნებსაც.

ქარხნის პირველი რიგი განზრახულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს მიმდინარე წელს.

საგაგირო გზით — სასტუმროში

უპანასკნელი რამდენიმე კუბური მეტრი ბეტონი ჩაიყარა ახალი სამგზავრო საბაგირო გზის სადგურის საძირკველში, რომელიც 4,5 კილომეტრზე გაიჭიმება და დაბა წნორს შეაერთებს ქალაქ სიღნაღთან.

წნორის ქვედა სადგურიდან „საჰაერო ტრამვაი“ მგზავრებს აიყვანს 450 მეტრ სიმაღლეზე, სადაც მდებარეობს სასტუმრო. აქედან მოჩანს ალაზნის ველის საუცხოო პანორამა. მოგზაურობას დასჭირდება სულ 12 წუთი. ახალი ტრასა საათში გადაიყვანს 260 კაცს. საინტერესოა, რომ ამ გზას არ ექნება გადასაჭდომი სადგური.

ქართველი ლინგვისტის აღიარება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თამაზ გამყრელიძე აირჩიეს ევროპის ლინგვისტური საზოგადოების (გფრ) ნამდვილ წევრად.

უფრო ადრე, 1963 წელს თამაზ გამყრელიძე არჩეულ იქნა ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების ნამდვილ წევრად.

შენდება და მშვენდება ქართული სოფელი

დიდი ცვლილებები ხდება საკოლმეურნეო სოფელში. მეურნეობათა ეკონომიკის ზრდა, დიდი შემოსავალი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებაზე. უკანასკნელ წლებში ერთნახევარჯერ გაიზარდა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა შემოსავალი. ორ მილიონ მანეთს აღწევს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი. უხვ მოსავალსა და შესაბამისად დიდ შემოსავალს იღებენ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყისა და სხვა კოლმეურნეობები, დიდად რენტაბელურია ჩაქვისა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. ბრეთის მეხილეობისა და ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები.

სოფლების გარდაქმნის, მათი სახის შეცვლის საკითხებს დიდი ყურადღება ექცევა. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მუშავდება კონკრეტული ღონისძიებანი სოფლისა და ქალაქის ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობათა განსხვავების აღმოსაფხვრელად. დაიწყეს ამ ღონისძიებათა ფართო რეალიზაცია. მძლავრი საწარმოო ბაზა შეექმნა სასოფლო მშენებლობას, რომელსაც აწარმოებენ სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციები.

ათობით ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი, კულტურის სახლი, საბავშვო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სხვა ობიექტები აშენდა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში. 15 ჰექტარ ფართობზე გაშენდა დეკორატიული პარკი. კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სამამულო ომში დაღუპულ თანასოფლელთა ხსოვნის აღსანიშნავად აიგება მუზეუმის შენობა. სალამოობით სასოფლო კულტურის სახლში გამოდიან დრამატული წრე და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ახალგაზრდობის სპორტული შეჯიბრებანი იმართება ვრცელ სტადიონზე.

ასობით ჰექტარი მიწა გადაიქცა აყვავებულ ბაღებად და ვენახებად მას შემდეგ, რაც მზით გადაბუგული ეს მიწა გააძღო სამგორის სარწყავი სისტემის წყალმა. ველში შექმნილია მსხვილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები. ბაღებისა და პლანტაციების გარშემო გაშენდა ლამაზი მუშათა დაბები. მთელი ქალაქი გაიზარდა ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. ორ-სამსართულიანი სახლები, მაღაზიები, სკოლები, საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღი. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი. ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოებული იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბების საუკეთესო განაშენიანებისა და კეთილმოწყობისათვის გამართული სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსის პირველი ტურის დიპლომით.

ბევრი ახალი შენობა გაჩნდა გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშში“. კოლმეურნეობა დიდძალ სახსრებს ახმარს მშენებლობას. სოფლის მშრომელებს აქ აქვთ ყველაფერი გაზრდილ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

წარმატებით სრულდება სასოფლო მშენებლობის პროგრამა სიღნაღის, თელავის, გორის, მახარაძის, ზუგდიდის, მცხეთის, ყვარლისა და სხვა რაიონებში.

ჰიათურას ტყუილად როდი უწოდებენ საბაგირო გზების ქალაქს. აქ მუშაობს 500-ზე მეტი საჰაერო გზა.

ქალაქის ბევრი საბაგირო გზის პროექტის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი გიორგი ფანცულაია.

სურათებზე: სამმხრივი საბაგირო გზის სადგური ჰიათურაში (მარცხნივ), რომლის პროექტის ავტორია გ. ფანცულაია (მარჯვნივ).





ქართული მეცნიერების პრესტიჟი

ქართველ მეცნიერთა საზღვარგარეთული ურთიერთობანი

საზღვარგარეთ განუწყვეტლივ იზრდება ინტერესი ქართული მეცნიერების მიღწევებისადმი. ამას დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტი, რომ მარტო შარშან აკადემიის 46 მეცნიერმა თანამშრომელმა წაიკითხა მოხსენება 54 საერთაშორისო კონგრესსა და კონფერენციაზე, ხოლო 85 მეცნიერი იყო მათი მონაწილე. ჰოლანდია, ბელგია, შვეიცარია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, ინდოეთი, იტალია, ირანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იუგოსლავია — რა ქვეყნებში არ ყოფილან ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

ჰოლანდიაში ფოტოქიმიკოსთა II საერთაშორისო სიმპოზიუმზე დიდი ინტერესით შეხვდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის რადიაციული ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის **ვ. ნანობაშვილის** მოხსენებას „ზოგიერთ გოგირდოვან შენაერთთა ფოტოლიზი“.

კიბერნეტიკოსთა V საერთაშორისო კონგრესზე ბელგიაში საერთო ყურადღება მიიპყრო საქართველოს კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ვ. ჭავჭანიძის** გამოსვლამ თემაზე „ინფორმაციული ფორმალიზმი, როგორც სისტემების ზოგადი თეორიის აპარატი“.

თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა **ი. ვეკუამ** ტექნიკის მეცნიერებაში მათემატიკის გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილ V საერთაშორისო კონგრესზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წაიკითხა მოხსენება „გარსების თეორიის ზოგიერთი საკითხი“.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **რ. დვალი** და მანქანებისა და პოლიმერული მასალების მექანიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ო. ეჯიბია** გამოვიდნენ ავტომობილებისა და მოტორების კონსტრუქტორთა კონფერენციაზე უნგრეთში. თავიანთი მოხსენება მათ მიუძღვნეს მთის პირობებში ავტომობილის მუშაობის თავისებურებებს. სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი იყვნენ მეცნიერებათა დოქტორები — ბიოფიზიკოსი **გ. თუმანიშვილი**, ფიზიოლოგი **ვ. მოსიძე**, მეცნიერებათა კანდიდატი, ელექტროტექნიკის სპეციალისტი **ვ. იმედაძე** და სხვები.

ბევრი ქართველი მეცნიერი ყოფილა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ლექციების წასაკითხად და კონსულტაციების მოსაწყობად. მათ დაამყარეს ახალი და განმტკიცეს არსებული მეცნიერული კონტაქტები. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე აკადემიკოსი **გ. ჭოლოშვილი** იყო ინდოეთში, სადაც უმაღლეს სასწავლებლებში ერთ თვეს კითხულობდა ლექციებს მათემატიკაში.

ნოემბერში კლიმატოლოგიის თანამედროვე პრობლემებზე ლექციების წასაკითხად და მეცნიერული კონსულტაციის მოსაწყობად ბისკონიის უნივერსიტეტის (ამერიკის შეერთებული შტატები) გეოგრაფიულ დეპარტამენტს სამი თვით ეწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი — მდივანი **თ. დავითაია.**

ახალ არამეულ ენაში ლექსების ციკლი წაიკითხა ნეაპოლისა და გენუის უნივერსიტეტებში ცნობილმა სემიტოლოგმა პროფესორმა **გ. წერეთელმა.**

საინჟინრო სეისმოლოგიის თვალსაჩინო სპეციალისტი, მეცნიერებათა დოქტორი **შ. ნაფეტვარიძე** ორჯერ იყო იუგოსლავიაში როგორც იუნესკოს ექსპერტი სეისმომედეგური მშენებლობის საკითხებზე. იგი კონსულტაციას უწევდა მიწისძვრით დანგრეული ქალაქ სკოპლეს აღდგენითს სამუშაოებს. ქართველი ინჟინერი **პ. ამბარდანიშვილი** ერთი წლის განმავლობაში ტექნიკურ დახმარებას უწევდა ირანში რეაქტორისა და რადიოქიმიური ლაბორატორიის მშენებლობის მონტაჟის, გათბობისა და ამუშავების საქმეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ე. ანდრონიკაშვილი** იყო საფრანგეთში, სადაც შეუთანხმდა ფიზიკოსებს მეცნიერული კონტაქტების შესახებ.

მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში ქართველ მეცნიერთა წვლილს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის 31 მეცნიერი არჩეულია საზღვარგარეთის აკადემიების უცხოელ წევრებად. შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეკრულება აკავშირებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიებს.

აკადემიკოსების ნ. მუსხელიშვილის, ი. ბერიტაშვილის, ი. ვეკუას, გ. წერეთლის, შ. ნუცუბიძის, შ. ამირანაშვილის, კ. კეკელიძისა და სხვა თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთა შრომები დიდი პოპულარობით სარგებლობს საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებში.

თავის მხრივ მარტო 1967 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრა 98 საზღვარგარეთული დელეგაცია და 174 ცალკეული მეცნიერი. რესპუბლიკაში მოეწყო მთელი რიგი საერთაშორისო კოლოკვიუმები, სიმპოზიუმები, კონფერენციები, რომლებმაც მიიპყრეს როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება.



უფრო ლამაზი გახდება

დღითი დღე მშვენდება თელავი—კახეთის უძველესი დედაქალაქი. ქალაქში ბევრია ხარაჩოები. თუ 1921 წელს მას ეკავა 300 ჰექტარი ტერიტორია, დღეს გადაჭიმულა 900 ჰექტარზე მეტ ფართობზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის საბინაო ფონდი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გაიზარდა ასი ათასი კვადრატული მეტრით და მეტად.

თელავის შემდგომი განვითარების პერსპექტივები გათვალისწინებულია ძირითადად მიმდინარე ხუთწლედის წლებისათვის. სწორედ ამ ხნის განმავლობაში განხორციელდება ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა და პროექტი, რომელიც შეადგინეს საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა და „თბილქალაქპროექტმა“. გარდა ახალი ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი მასივების მშენებლობისა, გათვალისწინებულია აგრეთვე ქალაქის ძველი ნაწილის რეკონსტრუქცია.

ზუზუმბოს მთის კალთებზე გაშენდება პარკი, სადაც არქიტექტორ შ. დავითაშვილის პროექტით აიგება პიონერთა ბანაკის კომპლექსი, რომელშიც ერთსა და იმავე დროს დაისვენებს 360 ბავშვი. იქვე გვერდით გაჩნდება ახალი საცურაო აუზი. ზუზუმბო გახდება დასვენების კარგი ადგილი არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ მოზრდილებისათვისაც.

თელავის მშვენება იქნება ახალი თერმომეტსართულიანი სასტუმრო, რომლის მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. „ვახვახიშვილის ციხის“ ახლოს აგებული სასტუმრო ქალაქის თავზე აღიმართება. საინტერესოა, რომ ვესტიბიული და სარეგისტრაციო დარბაზი მოთავსდება მიწის ქვეშ. აქედან სტუმრები ლიფტებით ავლენ ნომრებში, საიდანაც მოჩანს ალაზნის ველი და კავკასიონი, ალავერდის ტაძარი და ცივგომბორის მთა. პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით სასტუმროს კომპლექსში შევა 200-ადგილიანი რესტორანი, კაფე, სასადილო.

ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გაშენდება სტუდენტთა დაბა. აქ მოთავსდება თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის სასწავლო კორპუსები და საერთო საცხოვრებელი.

თელავის დრამატული თეატრის ახალი შენობა აიგება თავისუფლების მოედანზე, ხოლო მოედნის შუაგულში დაიდგმება პატარა კახის ძეგლი.

თელაველები მიიღებენ ახალ სამსართულიან უნივერმაღს, 200-ადგილიან კაფე-სასადილოს, ფართოეკრანიან კინოთეატრს.

* * *

სურათზე: თელავის ერთ-ერთი კუთხე.

მთის კლიმატის ბიოქიმია

მთის კლიმატი მცირე სიმაღლეებზეც კი იწვევს ორგანიზმის ქიმიური ბუნების გარდაქმნას. ასეთი დასკვნა გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ბიოქიმიკოსმა **ვ. ასათიანმა.** იგი 30 წელს სწავლობდა ადამიანის ნივთიერებათა ცვლას 700-2.000 მეტრ სიმაღლეზე.

საშუალო მთიანეთის პირობებში ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის ყოველი მეათე მოქალაქე. მეცნიერის გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ახალბედა „მთის მცხოვრებს“ მთაში ყოფნის პირველ კვირას ბიოქიმიური ძვრები უძლიერდება, ხოლო შემდეგ ჩერდება გარკვეულ დონეზე.

უმაღლესი მათემატიკა... სკოლაში

„მოსამზადებლები“ — ასე უწოდებენ თბილისის 42-ე საშუალო სკოლაში მერვეკლასელებს, რომლებსაც ჯერ არ დაუწყიათ... უმაღლესი მათემატიკის შესწავლა. ყველას როდი იღებენ ამ სკოლაში. აქ სწავლობენ ისინი, ვისაც ინტერესი და ნიჭი აქვთ ზუსტი მეცნიერებისადმი. მიღების დროს ამოწმებენ შემსვლელის გამჭრიახობას, საზრიანობას.

ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში სწავლა მერვე კლასიდან იწყება, ბავშვები სერიოზულ სიძნელეებს ხვდებიან მეცხრე კლასში, როცა ელემენტარული მათემატიკისა და ფიზიკის შესწავლასთან ერთად ისინი იწყებენ უმაღლესი სკოლის კურსის ზოგიერთი ძირითადი ელემენტის გავლას. მეცნიერების სამყაროში შესვლას ბავშვებს ეხმარებიან ამ სკოლის ფუძემდებელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. კვესელავა და სამეცნიერო დაწესებულებათა სხვა თანამშრომლები.

სკოლა უკვე ექვსი წელია არსებობს. ორასამდე კარგად მომზადებულმა ბავშვმა დაამთავრა იგი ამ ხნის განმავლობაში. ახლა ისინი სწავლობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, კიევის, თბილისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში.

თუმცა სკოლა ამზადებს ზუსტ მეცნიერებათა მომავალ სპეციალისტებს, მაგრამ აქ არ არსებობს „ფიზიკოსთა და ლირიკოსთა“ პრობლემა. ბავშვები დიდი გატაცებით მეცადინეობენ ლიტერატურის, ისტორიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების 14 წრეში. მათ ყავთ საკუთარი პოეტებიც, რომელთა ლექსები ხშირად იბეჭდება თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გაზეთ „გაზაფხულში“.

ზაურ გოლძვაძე

ჰაჰპარა ქართველს...

სულში ანთია, გულში თესია
შუქი მამულის მზისა...
ყველა მიწაზე უტკბილესია
შენი სამშობლო მიწა.
მარადისობის ფარი, თავდები,
ერის პირველი მცველი, —
ყველა ენაზე გამოსადეგი,
დედაენაა შენი!
ყველა ზრუნვაზე ძვირფასი არის
ზრუნვა მშობელი დედის...
იმედად ნათობს მარად მზიანი
გამზრდელის თბილი მკერდი.
სადაც არ უნდა წახვიდე, გული
დედას ეძახის, ითხოვს...
და შენს სიცოცხლეს დარაჯობს, უვლის
მამის მარჯვენის სითბო.
თუნდ ამხანაგი ათასი გყავდეს,
ანდა ათასზე მეტი,
გაჭირვებაში, ყველაზე ადრე,
ძმა დაგიდგება გვერდით.
შენი ტკივილით, ყველაზე მეტად,
დას ეტკინება გული,
ყველაზე ადრე გაჩნდება შენთან,
იგრძნობს შენს ფიქრს და სურვილს.
გახსოვდეს: ერთი მერმისი დღე ხარ,
ხალხი იმედად გელის;
ყველაზე ლამაზ სიცოცხლით ქვეყნად,
მიწა გაცოცხლებს შენი!
სანამდე გადევს მამულის ვალი,
გწამდეს, ვერ მოისვენებ...
ყველაზე უფრო, სამშობლო მხარის
სიმღერებს მოგისმენენ!
თუ შენი გული ერისთვის ფეთქავს,
გაწუხებს ბედი მისი,
ალალ სიყვარულს, ყველაზე მეტად,
შენივე ხალხი გიძღვნის!
თუ გსურს მომავლის დიდი სინათლით
გზა მოგეფინოს ფართე,
ყველაზე მეტად, შენი წინაპრის
პატივისცემა გმართებს!
თუ ივლი სწავლის, ძიების გზებით
და ოფლს შრომაში დაღვრი,
ქვეყნად ყველაზე მართალი ქებით
შეგაქებს შენი ხალხი!
თუ ხალხს ეკუთვნი სისხლით და ხორცით,
თუ ხარ სიკეთის მფენი,
ქვეყნად ყველაზე მხურვალე ლოცვით
ერი დაგლოცავს შენი!
თუკი სამშობლოს ამაღლებ ცამდე,
მთების დაპყრობა გშვენის,
მაშინ ყველაზე მაღალ ძეგლს, გწამდეს,
ხალხი აგიგებს შენი!
ნიჭსა და შრომას, ყველაზე მეტად,
მამული დაგიფასებს!
ასე ყოფილა ოდითგან ეს და
მარად იქნება ასე.

გმირობა ტექსელზე

საბჭოთა ხელოვნების წმიდათა წმიდა თემა — დიდ სამამულო ომში ხალხის უმაგალითო გმირობის თემა კვლავ აღძრულია ფილმში „ჯვარცმული კუნძული“. მას იღებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. მანაგაძე.

„ჯვარცმული კუნძული“, რომელსაც იღებენ რ. თაბუკაშვილის სცენარის მიხედვით, რეჟისორის მერვე მხატვრული სურათია. ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა შ. მანაგაძეს ეამბნა ახალი სურათის შესახებ.

„ტექსელზე 800 ქართველი სამხედრო ტყვის გმირობა, — თქვა მან, — დიდი ხანია მაღელვებდა არა მარტო იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა უმაგალითო გმირობა ჩაიდინეს, არამედ იმიტომაც, რომ ყველაზე მძიმე დღეებში ისინი მუდამ თავიანთ ხალხთან იყვნენ.

ვცდილობდი ჩემს ფილმში მკაფიოდ მეჩვენებინა მეგობრობა ჰოლანდიელებთან. მას შემდეგ 22 წელი გავიდა, მაგრამ ჰოლანდიის მცხოვრებლებს დღემდე ახსოვთ ქართველი მეომრები. ტექსელის კუნძულზე განისვენებს 565 ჩვენი თანამემამულის ნეშტი“.

გაუხუნარი როგორც ფრესკა

უცხოელთათვის საქართველო ოდითგანვე იდუმალებით მოსილი ქვეყანა იყო. ყოველ მთა-კორტოხზე ციხე-კოშკები, მონასტრები. ეიდოსტატების სიტყვაში, ქვაში, ფერში გამქღავნებული ნიჭიერება. მაგრამ ქართველი ქალის მომხიბვლელობა განსაკუთრებით აოცებდათ დამპყრობლებს, დესპანებს, მისიონერებს, პოეტებს. ეპითეტებიც არ დაშურეს. მერე ჩვენში ქალის მიწიერი სილამაზე ყინცციოსის ანგელოზად, ხახულის ღვთისმშობლად, ბეთანიის ფრესკებად იქცა. საუკუნეები ლოცულობდნენ მათზე, როგორც რელიგიურ და მხატვრულ შედევრებზე.

ამბობენ, ოდესლაც უფლისციხის თეატრონში იბერიელი სახიობი წარმოადგენდნენ ევრიპიდეს მედეას და კიდევ ვინ იცის ლეგენდარული სერაფიტას ტრაგედიას. იქნებ ეს მხოლოდ ჰიპოთეზებია. დრომ წაიღო ლანდებად ქცეული სიცოცხლე.

ჩვენში ლამაზი ქალი და ნიჭიერი კაცი ისე არ დაიღევა, როგორც ყურძნის მტევანი გლეხკაცის ზურგში. სახიობი ხან ბერიკები იყვნენ, ხან მესტვირენი, ან კრწანისის ბრძოლაში მიუძღოდნენ ერეკლეს ლაშქარს.

...დიდი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 25 წელია ავანსცენაზე დგას რამპის შუქით განათებული შემოქმედის სილამაზე, გაუხუნარი როგორც ფრესკა. — ის **მედეა ჯაფარიძეა.**



1942 წელს მოვიდა აქ პატარა გოგონა დიდრონი, გაოცებული თვალებით, რომელსაც უყვარდა თეატრის ფანტასტიკური სამყარო. მას სჯეროდა, რომ არ შეიძლება თამაშობდე, არამედ უნდა ცხოვრობდე სცენაზე. რომ მერე მაყურებელმა ირწმუნოს შენი გარდასახვა.

1942-ში თეატრში მარტოოდენ სანახაობა კი არა, ტრიბუნაც იყო (ტრიბუნა, მხოლოდ კეთილშობილური გაგებით). ომში წავიდნენ ვაჟკაცები და სახიობი, როგორც ოდესლაც კრწანისში, მარაბდაში, მხედრებად იქცნენ. აქედან იწყება მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომლის მთავარი გმირი ნიჭიერი ფერმწერის პალიტრას დიდი ტაქტით იყენებს. მისი როლების გარეგნული პლა-

მზიურ მხარეში

საქართველო უცხოელის თვალით

შარშან შემოდგომაზე საქართველოში სტუმრად იყვნენ შვედი ჟურნალისტები, რომლებიც ახლოს გაეცნენ ჩვენს რესპუბლიკას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა შვეციის ტრანსპორტელთა პროფკავშირის ჟურნალის რედაქტორმა ო. რუტენბრანტმა თავის ჟურნალში გამოაქვეყნა წერილი საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე. ვბეჭდავთ ამ წერილს მცირედი შემოკლებით.

საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან ჩვენ აღმოსავლეთისაკენ გავემგზავრეთ. ჩრდილოეთით აზიდულიყო კავკასიონის ქედის განშტოებანი. შთაბეჭდილება ამ მიწათმოქმედების მხარის სიმდიდრის შესახებ მეტად ძლიერი იყო. საქართველო საბჭოთა კავშირის ერთერთი უმდიდრესი რესპუბლიკაა. მისი ბუნებრივი რესურსები ძალიან მნიშვნელოვანია, ეს განსაკუთრებით მადნეულსა და მინერალებს შეეხება. ნიადაგი იქ ნაყოფიერია, კლიმატი სასიამოვნო. საქართველოში მოჰყავთ ისეთი ეგზოტიკური კულტურები, როგორიცაა ყურძენი, ჩაი, თამბაქო, ციტრუსები. თბილისი რომის განდზე მდებარეობს.

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის მისადგომებთან ჩვენ შეგვხვდა მეურნეობის მუშათა ადგილობრივი პროფკავშირის წარმომადგენელი, რათა ლოცმანის როლი შეესრულებინა ვიწრო ქუჩებსა და გზებზე. ჩვენს ირგვლივ პროვინციული იდილიაა. აქ ცხენები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე შვეციაში, მაგრამ არაფერში არ შეინიშნება პრიმიტივიზმი, რაც ხშირად ახასიათებს დასავლეთ ევროპის ზოგიერთ კონტინენტალურ აგრარულ ქვეყანას.

საბჭოთა მეურნეობას შესანიშნავი ადგილმდებარეობა აქვს და უჭირავს 3.300 ჰექტარი.

საბჭოთა მეურნეობაში მუშაობენ ქალებიც და მამაკაცებიც. მათ თანაბარი ხელფასი აქვთ. შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს იძლევა საკარმიდამო ნაკვეთი. საბჭოთა მეურნეობებშიც და კოლმეურნეობებშიც ყველა ოჯახს უფლება აქვს პირადი საჭიროებისათვის გამოიყენოს ნახევარი ტუნლანდი (24,68 არი) მიწა.

ჩვენ დავესწარით პრესკონფერენციას საბჭოთა მეურნეობის წამყვან ადამიანებთან: ბრიგადირებთან, მთავარ ინჟინრებთან, აგრონომებთან. ყველაზე მეტ ხანს გვესაუბრა მეურნეობის დირექტორი მ. იაშვილი. იგი შესანიშნავად ერკვევა მევენახეობასა და მეურნეობის მართვაში.

რკინის სახურავის ქვეშ, სუფთა ჰაერზე მეგობრული სუფრა იყო გაშლილი. მიუხედავად ამისა, სურვილი გამოვთქვით გვენახა, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები მეურნეობაში. ოჯახში, სადაც ჩვენ მივედით, დაგვხვდნენ დიასახლისი — ჰენრიეტა და მისი ქალიშვილი, დოდო, რომლებიც გაოცდნენ ასეთი მოულოდნელი სტუმრობის გამო, მაგრამ ბებიამ უცებ მოიტანა სუფრაზე ხილი, კიტრები და მაგარი კავკასიური არაყი.

ოთახში, სხვათა შორის, იყო პიანინოც და დოდო მყისვე დაგვითანხმა დაეკრა რამდენიმე ეტიუდი. იგი მეტად გაბედულად უკრავდა, როგორც ეს 9 წლის ბავშვისათვისაა დამახასიათებელი.

დავუბრუნდით სუფრას. ვიდრე ჩვენ მეურნეობის მუშათა ოჯახებს ვათვალიერებდით, ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. ცა მძიმე ღრუბლებით ჩამობნელდა. კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ ამ ამბავს არავითარი გავლენა არ მოუხდენია სუფრის რიტუალზე.

წესების თანახმად, მეურნეობის დირექტორი სუფრის დიქტატორი იყო — მისი განკარგულებით წარმოთქვამდნენ სიტყვებს და სვამდნენ. სადილის დროს მან თვითონაც წარმოთქვა რამდენიმე მოკლე სიტყვა. სტუმრები სპასუხო სიტყვებით გამოდიოდნენ, მაგრამ ამ გამოსვლების თემის არჩევის უფლება მხოლოდ მასპინძელს ჰქონდა. სუფრაზე ერთადერთი სასმელი იყო ღვინო, რომელსაც ჩვეულებრივი ჭიქებით გვთავაზობდნენ. ყოველი სიტყვის (სადღეგრძელოს) შემდეგ ჭიქა ბოლომდე უნდა შესმულიყო.

ყველაზე სპატიო სტუმარმა მიიღო სპეციალური საჭმელი — შემწვარი გოჭის თავი. ეს პატივი წილად ხვდა შვედების ჯგუფის ხელმძღვანელს.

თემები, რომლებზეც სუფრაზე მსჯელობდნენ, შეეხებოდა მშვიდობას, ხალხებს შორის ურთიერთგაგებას, ადამიანების ისტორიულ წარმოშობას; აღშენებლობას, ლაპარაკი იყო ოჯახზე, მეგობრობაზე.

ისევე, როგორც მეღვინეობის ქვეყნების უმრავლესობაში, ღვინოს აქ რამდენადმე განსხვავებულად სვამენ, ვიდრე ჩვენ ვართ მიჩვეულნი. ეს აქ რიტუალად ითვლება, ხოლო ღვინო საუკეთესოდ, მათ შორის, რასაც კი მიწა იძლევა. თითქმის ტრაგედიად მიაჩნიათ შეუძლებლობა შესვან იმდენი სადღეგრძელო, რამდენიც სურთ, ყველა მშვენიერი რამისთვის, რისთვისაც ღირს დალევა და ამავე დროს არ დათვრნენ. ღვინისადმი ასეთი დამოკიდებულება შეინიშნება ფრანგებს შორისაც. თუ გავიხსენებთ დალუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოს, ადვილი გასაგებია, თუ რა ღრმა კვალი დასტოვა საბჭოთა ადამიანებში ომმა.

შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის სამხრეთი ნაწილის ატმოსფეროს ჯერ კიდევ ლენინგრადში გავეცანით. იქ ჩვენ ვეწვიეთ კულტურის სახლს, სადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული მოცეკვავენი ამ რაიონების ტრადიციულ

სტიკური ნახაზი არასოდეს არ რჩება როგორც მარტო დახვეწილი ფორმა. წინა პლანზეა წამოწეული შინაგანი სამყაროს რაფინირებული მოტივი. გოგონას გარეგნულ მომხიბვლელობას ავსებს ინტელექტი და ცხოვრების ფილოსოფიური განზოგადება.

ველმა ბერძნებმა ოდესღაც თქვეს, ლამაზ სხეულში ლამაზი სული ძევსო. ასევე მედეა ჯაფარიძის გარეგნული მშვენიერება მისი სულიერი სიწმინდისა და ტალანტის ტოლფასოვანი გახლავთ.

სულ რამდენიმე ხნის წინ მადლიერმა ქართველმა ხალხმა აღნიშნა მისი სასცენო მოღვაწეობის იუბილე და ვიღაცამ იმ საღამოს მახვილგონიერად აღნიშნა: „მედეა თავისი შემოქმედების აღსანიშნავ საღამოზე 25 წლის ქალიშვილივით გამოიყურება“. ვინ არ მიულოცა მაშინ მედეას. ჩვენმა სახელოვანმა მწერლებმა, მეცნიერებმა, დედულეთიდან რაჭველები ჩამოვიდნენ. მამულეთიდან არგვეთელები. ტაშს, აღტაცებას ბოლო არ უჩანდა. რამდენი ლექსი, ხოტბა და ყვავილები მიუძღვნეს. საქართველოს არქიტექტორთა კავშირი თუ აკადემია, მხატვართა და კომპოზიტორთა წარმომადგენლები მოკრძალებით ლაპარაკობდნენ მსახიობის შესანიშნავ შემოქმედებაზე. ქართული ტრაულერების მეზღვაურებმა შორეული ატლანტიკის, წყნარი, ინდოეთის ოკეანეებიდან დეპეშები აფრინეს. მოლოცვებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან... ბოლო არ უჩანდა.

ისევ წარსულს დავუბრუნდეთ.. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, სადაც მედეამ ასე მოკრძალებით შედგა ფეხი, ტრიუმფალური წარმატებით იდგმებოდა „ცხვრის წყარო“, „ურიელ აკოსტა“, „ჰამლეტი“... ქართულმა დრამატულმა ხელოვნებამ ფრთები გაშალა. არც თუ დიდი ხნის წინ მოსკოვი გააოცა სანდრო ახმეტელის სპექტაკლებმა.

ამერიკელმა რეჟისორმა ნიუ-იორკში მიიწვია რუსთაველის თეატრი და აღტაცებულმა თქვა: „მსოფლიოს ყველა დიდი თეატრის სპექტაკლი მინახავს, მაგრამ „ანზორის“ და „ყაჩაღების“ მსგავსი კი არა“. ეს ყველაფერი მედეას კარგად ახსოვდა... პირველი ფრაზა მან მასაში წარმოთქვა. მისი ხმის ბგერები ისეთი ნათელი და მთრთოლვარე იყო, რომ უმალ შეამჩნიეს. ანდა, როგორ შეიძლებოდა მისი სცენური მომხიბვლელობის გვერდის ავლა. მსახიობი ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა როლს. სპექტაკლები „ინჟინერი სერგეევი“, „უფსკრულთან“, „დაბრუნება“. ის ცენტრალურ ფიგურად გვევლინება. მის შემოქმედებაში შინაგანად მზადდება ნიადაგი დიდ ჟრამატურგებთან შეხვედრისა. ის მოკრძალებით ეხება შექსპირის გმირებს და ბევრს ფიქრობს, სწავლობს სახის მეორე პლანისა და გამჭოლი მოქმედების შესახებ. მუშაობს დიდხანს, გატაცებით. მის მიერ განსახიერებული ჯულიეტა ქართულ სცენაზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ.

მედეას ჯულიეტას არ აკლდა არც არისტოკრატიული სილამაზე, კდემამოსილება. გასაოცარი უშუალობით მიჰყავდა მას ყველა სცენა და მაყურებელს ავიწყებდა ყოველგვარ პირობითობას. შოუს „პიგმალიონში“ მისი ელიზა დულიტლი, დიდი გრაციითა და სახასიათო შტრიხების მრავალფეროვნებით გვაოცებდა. ბედნიერია ადამიანი, რომელსაც მუზები სწყალობენ... ისევ შოუ. „კეისარი და კლეოპატრა“. მედეა კლეოპატრას თამაშობს არა ტრადიციული მანერით, არამედ შოუს გმირს ანიჭებს ახალ ფერებს. აღრმავებს როლის შინაგან სამყაროს. ეგვიპტელი, უდარდელი გოგონადან ის პატივმოყვარე დედოფლად იქცა და ეს სახეცვლილება ისეთი ტაქტით და ოსტატობით ჩაატარა, რომ გაიმარჯვა.

მედეა ჯაფარიძე მოსკოვის მოსსოვეტის თეატრში მიიწვიეს გასტროლიორად. ბრწყინვალედ ითამაშა კლეოპატრას როლი. თვით დიდი ლოურენს ოლივიე ღელავდა, როცა შეიტყო, რომ მის თამაშს ესწრებოდა ცნობილი შექსპიროლოგი ანიკსტი. სწორედ ანიკსტმა, როცა მედეა ნახა მოსსოვეტის სცენაზე, ძალიან მახვილგონიერად შენიშნა: „როცა მედეა ჯაფარიძე თამაშობს, მაშინ უნდა ვთქვათ კეისარი და კლეოპატრაო, ხოლო როცა რუსი მსახიობი — კეისარი და სხვებიო...“ როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. რეჟისორი იური ზავადსკი აღტაცებული იყო.

მედეას მომხიბვლელობა, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამორჩენიათ კინორეჟისორებს. მას იღებენ ფილმ-სურათებში „კოლხეთის ჩირაღდნები“, „ხიდი“, „ჯურღმის ფარი“, „აკაკის აკვანი“, „ეთერის სიმღერა“, „მწვერვალთა დამპყრობნი“, „წარსული ზაფხული“. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ქეთო და კოტე“, სადაც მედეა ჯაფარიძემ დაამტკიცა, რომ მას იუპტერის შუქზე არანაკლებ შეუძლია თავისი ოსტატობის დემონსტრირება. ის მოდური კინოვარსკვლავებისაგან ბევრი რამით განსხვავდება. არასოდეს კომერციის მიზნით არ იყენებს თავის სილამაზეს, არ უწევს თავის თავს რეკლამას. სადა, მოკრძალებულია და თითქმის სრულიად უგულებელყოფს თანამედროვე კოსმეტიკის ყოველგვარ საშუალებებს. არ ვიცით, რა იყო იმის მიზეზი, რომ მედეას უფრო ხშირად არ იღებენ კინოში. იქნებ რეჟისორები ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ მისი ფიზიკური მონაცემების მიმართ. განსაკუთრებულ სცენებს ურჩევდნენ. დრო კი, მოგეხსენებათ, ისე გარბის. მედეა ოპტიმისტია, ცოცხლობს თეატრით. ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში“ მისმა გულსუხლდამ გერონტი ქიქოძეს ათქმევინა, ეს ერთ-ერთი საუკეთესო სახეთაგანია, რომელიც საერთოდ სცენაზე მონახავსო. მარიკა ბარათაშვილი მედეა ჯაფარიძისათვის წერს პიესას „მარინეს“, მწერლის ერთგვარი ექსპრომტი მსახიობმა როლის ბრწყინვალე შესრულებით გაამართლა. მისი ჭრიჭინა სიცოცხლით სავსე ანცი გოგონაა. სიმღერის და სიცილისთვისაა თითქოს დაბადებული. კულისებიდან მოტანილი ზეაწეული განწყობილება ისეთი გადამდები და უშუალოა, რომ არ შეიძლება ვინმე გულგრილი დარჩეს.

აქ უკვე მსახიობის განსაზღვრულ ამპლუაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. მედეა ჯაფარიძე ერთნაირად ამაღელვებლად თამაშობს ლირიკულ, დრამატულ, კომიკურ, სახასიათო როლებს. ისევ სპექტაკლები „რიჩარდ მესამე“, „აურზაური არაფრის გამო“, „ხეები ზეზეულად კვდებიან“... „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“, „კახაბერის ხმალი“... ყველას ვერ ჩამოვთვლით, ძალიან შორს წავალთ.

მსახიობი მუშაობს თავის თავზე გატაცებით, მაგრამ არ ივიწყებს მეგობრებს, ნაცნობებს თუ უცნობ ადამიანებს. იქნებ ეს ყოფითი ამბებია და ვინმეს ჰგონია, რომ ამაზე არ ღირს ლაპარაკი, მაგრამ შეიძლება პირიქითაც ვიფიქროთ. სწორედ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩანს მისი სპეტაკი სული. თბილი, ადამიანური სამყარო.


აქტიორული შემოქმედების 25 წელი განა ცოტას ნიშნავს, როცა მსახიობის მომხიბვლელობას და ნიჭიერებას წლები არ ეკარება.

დღეს დიდი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ისევ დგას რამპის შუქით განათებული ბრწყინვალე მსახიობი. ის მედეა ჯაფარიძეა.

ნანა ჯაფარიძე.

* * *

სურათებზე: მედეა ჯაფარიძე ლედი ანას („რიჩარდ III“) და ჯულიეტას („რომეო და ჯულიეტა“) როლებში.



ცეკვებს უჩვენებდნენ. მსახიობების თამაში ლამაზი, მოხდენილი იყო, მოძრაობები — აკრობატული და უმკაცრესი კონტროლისათვის დაქვემდებარებული.

იგრძნობოდა აშკარა განსხვავება, როდესაც ჩვენ თბილისის ქუჩებში დავხეტიალობდით და მათ მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩებს ვადარებდით. შეიძლება პარადოქსად მიიჩნიოთ, მაგრამ ეს ხალხის ცხოვრება თბილისის ქუჩებში უფრო მაგონებს ანალოგიურ გარემოს საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, იმ განსხვავებით, რომ საბჭოთა კავშირში ვერასოდეს შეხვდებით ისეთ ღარიბ ადამიანებს, რომლებიც ესოდენ ბევრნი არიან სხვა ქვეყნების დიდ ქალაქებში.

საქართველოს დედაქალაქში თვითმფრინავით ჩამოვედით დონეცკიდან, დღის მეორე ნახევარში. ჩვენმა ადგილობრივმა მასპინძლებმა — გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტმა ვალერი ქაჯაიამ და პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ წაგვიყვანეს, როგორც გვეგონა, ქალაქის დასათვალიერებლად. ამის ნაცვლად ჩვენ ვნახეთ ათი საუკუნის წინანდელი ძეგლები. თბილისიდან 22 კილომეტრზე მდებარეობს მცხეთა, საქართველოს ძველი დედაქალაქი. დავათვალიერეთ სვეტიცხოველი, რომელიც დაახლოებით მეხუთე საუკუნეშია აშენებული.

შემდეგ შეგვიყვანეს ჭოხში, სადაც წინათ ღვინოს ამზადებდნენ. ჩვენ ვნახეთ უძველესი ნივთები: საწნახელი, რომელშიც ფეხებით ჭყლეტდნენ ყურძენს, მიწაში ჩაფლული დიდი ქვევრები — ღვინის შესანახი ჭურჭელი. ვსვამდით თიხის ჭამებით და ნაგებობა ცოცხალ მუზეუმს გავდა. თბილისის გარშემო მდებარე ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების დროს ჩვენ განვიცადეთ ყველაზე დიდი სიამოვნება საბჭოთა კავშირში: ვიყავით X-XI საუკუნეების დედათა მონასტერში. ისევე როგორც სხვა ტაძრები, იგი განსაკუთრებულად დახვეწილი ოსტატობით არის რესტავრირებული, შენარჩუნებულია ეპოქის ყველა თავისებურება და მხატვრული ღირებულება.

საქართველოში გულმოდგინედ იცავენ ტრადიციებს, მაგრამ არ ავიწყდებათ თვალყურიც ადევნონ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მიღწევებსაც. ჟურნალ „ტრანსპორტ არბეტარეზე“ ყდაზე ჩვენ ვხედავთ ორი სხვადასხვა თაობის ქალის ფოტოსურათებს. მოხუცი 70 წლისაა, ახალგაზრდა დაახლოებით ოცის. თუ შევადარებთ პირობებს, რომლებშიც ახლა ცხოვრობს ახალგაზრდა ქალი, იმ პირობებს, რომლებშიც მოხუცი ცხოვრობდა, როცა ოცი წლისა იყო, განსხვავება უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე მაგალითისათვის, რომ შევადაროთ ცხოვრება ქალისა, როდესაც მონაზვნები ძველებური საგალობლებს მღეროდნენ და ის ეპოქა, რომელშიც ეს საგალობლები გაშიფრეს. ეკონომიური და ტექნიკური პროგრესის 50 წელმა ადამიანის ცხოვრება აამაღლა უფრო მეტად, ვიდრე ეს ადრინდელ ათასწლეულებში იყო შესაძლებელი.

ქ. თბილისის სახ. წიგნის პალატის სამეცნიერო ბიბლიოთეკა

გიორგი სანადირაძე

ერთი ქალთა სიხარული

საახალწლო მოთხრობა

ფარაჯაში გახვეული ბერიკაცი შლაგბაუმთან იდგა, მხრები გალუმპოდა. გახუნებული ქუდის წინაფარზე რიგრიგობით ჩამოეკონწიალებოდნენ წვიმის წვეთები და ხმაურით ეცემოდნენ ბერიკაცის ფეხებთან, ტლაპოში.

მატარებელმა ჩაიარა.

ბერიკაცმა ფარანი აიღო, სახე სველი მაჯით მოიწმინდა და ჯიხურში შებრუნდა. იქ, ფანჯარასთან, პატარა გოგონა იჯდა.

— არა გცივა? — ჰკითხა ბერიკაცმა.

— ცოტათი.

— ხომ გითხარი, ნუ მოდიხარ-მეთქი, აქ საშინელი ქარია. ქარი პირდაპირ ზღვიდან უბერავს და ნესტი მოაქვს.

— მე რომ შენთან მინდოდა? — თქვა წყნარად ბავშვმა.

— კარგი. ნუ იბუზები. მოდი, აბა, გაკოცო!

ბავშვი მიეხუტა და სწრაფად მოსცილდა.

— რა ცუდი წვერი გაქვს!..

ბერიკაცმა გაიცინა. მერე დაიხარა, სამფეხა გაასწორა და ცეცხლს შეუბერა. ნედლმა კოპიტმა საშინელი მყრალი კვამლი ამოუშვა. ბავშვი აწრიალდა. თვალები აეწვა. ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ქარი ჭროდა, და უსმენდნენ ქარის შხუილს.

— ბაბუ, დღეს ხომ ახალი წელია?

— მერე?

— შენ ისევ არ მომიტანე ნაძვის ხე. ამაღამ ხომ თოვლის ბაბუა მოვა? თოვლის ბაბუა იმდენ საჩუქრებს მომიტანს, იმდენ საჩუქრებს, რომ მთელი კარადა აივსება. მე კი მხოლოდ შოკოლადის კამფეტებს შევჭამ, დანარჩენს ნაძვის ხეზე ჩამოვკიდებ, და როცა მამა ჩამოვა, ვუჩვენებ. მე ვიცი, მამას გაეხარდება.

— გაეხარდება, — უპასუხა ბერიკაცმა.

— მაშ, მომიტან ნაძვის ხეს?

ბერიკაცმა თავი დაუქნია და გაუღიმა. იგი ფანჯარასთან იდგა. გზის პირას, ზედ შლაგბაუმთან წამომართულ ნეკერჩხალს გაჰყურებდა, ნეკერჩხალს კიდევ შერჩენოდა თითო-ოროლა შეყვითლებული ფოთოლი. ქარი აცახცახებდა ფოთლებს. „საწყალი ფოთლები, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ისინიც ადამიანებივით არიან. გაიშლებიან, დაირხევიან და თანდათან, უჩუმრად ეშვებიან ქვევით“.

— ბაბუ, რატომ არ გაჩერდა ეს მატარებელი ჩვენს ბაქანზე?

— იმიტომ რომ ეჩქარება.

— მამასთან მიდის?

ბერიკაცმა ზემოდან გადმოხედა. მერე თავი გააქნია.

— შენ ხომ თქვი, ამ მატარებელს ჯარისკაცები მიჰყავსო?

— ვთქვი, — დაეთანხმა ბერიკაცი, — მერე?

— მამაც ხომ ჯარისკაცია?

ბერიკაცმა არაფერი უპასუხა, დაიხარა და კოპიტის კუნძი გაასწორა. როგორც იყო, აინთო ცეცხლი, აინთო და კედელზე უცნაური ჩრდილები აათამაშა. ცეცხლი ტკაცუნებდა, შიშინებდა და ნაპერწკლებს ისროდა. „რა შეჩვენებული შეშაა, — გაუელვა ბერიკაცს. — ჯერ იმდენს დაგატირებს, რომ გულს მოგიკლავს, იმედს გადაგიწურავს და როცა ხელს ჩაიქნევ, სწორედ მაშინ იბრიალებს და აგუგუნდება“. ბერიკაცს ხველა აუვარდა, მერე ამოაფურთხა და თავისი გაჩენა დასწყევლა. სველ ფარაჯას ოხშივარი ასდიოდა. ბერიკაცი შვილიშვილის ფეხებს დასცქეროდა. ამ წუთს იგი შიშს შეეპყრო. ეს შიში წალეკვით ემუქრებოდა. იგი უჩუმრად დასადგურებულიყო მის სულში და წიწკნიდა. „ახლა მამაზე მკითხავს რამეს“... გაიფიქრა. ბავშვი ცხვირსახოცს აშრობდა და აბრიალებულ ცეცხლს უყურებდა.

— გათბი? — ჰკითხა ბერიკაცმა.

გოგონა შემობრუნდა, თავი გადმოსწია და ბერიკაცს კალთაზე დაადო.

— გინდა, შინ წავიდეთ?

— მეტი აღარაფერი გამოივლის?

— უ, ეს როდის იქნება! შენ მაშინ, ალბათ, ჩაძინებული იქნები.

— არა, არა. მე არ დავიძინებ. ამაღამ ხომ თოვლის ბაბუა მოვა! მე ვიცი, მოვა... — დაბეჯითებით თქვა გოგონამ და უცებ მოიწყინა, შუბლზე ნაოჭი გაუჩნდა, — რომ არ მოვიდეს? — ხომ გახსოვს, მამა ამბობდა, თოვლის ბაბუა ჩემი კარგი ნაცნობიაო. მამა კი ჯარშია. ხომ შეიძლება არ მოვიდეს?

— არ ვიცი, — უპასუხა ბერიკაცმა. თან გაიფიქრა: „შუადამემდე არაფერი გამოივლის. ლაზარეს ბიჭს უნდა ვთხოვო — შემცვალოს. დღეს თუ ქალაქში არ ავირბინე საყიდლებისათვის, არ ივარგებს. ცოტა არაყს წავიღებ, იქნებ პური და ტკბილეული ვიშოვნო. ცოდოა ბავშვი“. იგი წამოდგა. გოგონას თბილი თავსაფარი კარგად შემოახვია, დროშა ქამარში გაირჭო. ცეცხლს ნუღარ ჩავაჭრობთო, უთხრა შვილიშვილს და ფარაჯა შეიკრა.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ნელა მიაბიჯებდნენ ლიანდაგის განძელებს შორის. ცივი ქარი ჭროდა და საწყლად მობუშტულები ძალზე პატარა წერტილებად ჩანდნენ აჭიკყული ცისა და უსასრულო ზღვის ფონზე. „ისე ჩამოშავდა, ცა, უთუოდ მოთოვს, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — ანდა რა ახალი წელია უთოვლოდ?“.

* * *

ამინდსა და ომზე გაბრაზებული ბერიკაცი შეღამებულზე რკინიგზის პატარა დუქანში იჯდა და შვილიშვილზე ფიქრობდა. „ჩემი პატარა, საცოდავი გოგონა ზის ფანჯარასთან, გზას გაჰყურებს და მელის“. გზამ ფოსტალიონი გაახსენა. ბერიკაცი ახლაღა მიხვდა, რომ ეს მრისხანე შიში მას მერე დასადგურდა სულში, რაც კოჭლმა ფოსტალიონმა ერთხელ და სამუდამოდ აიკვეთა მათ ოჯახში ფეხი. ხანდახან, ღამის მორიგეობის შემდეგ, როცა ოდის პარმაღზე იდგა, ბერიკაცი ხედავდა ფოსტალიონის გახუნებულ „შლაპას“. „შლაპა“ ნელა მიცურავდა ღობეებს ზემოთ. გულის კანკალით ელოდა, როდის გადმოივლიდა ეს „შლაპა“ ღელეზე გადებულ ბოგას და როგორ გამოჭყვებოდა ბერიკაცის სახლისაკენ მიმავალ შარას. მის ყოველ გამოჩენაზე ბერიკაცს ეჩვენებოდა, რომ ფოსტალიონი კიდევ უფრო მეტად კოჭლობდა, კიდევ უფრო მეტად პატარავდებოდა და ბერიკაცს უკვირდა, რატომ აღარ ჩერდებოდა ფოსტალიონი მათ ჭიშკართან და რატომ აღარ უღიმოდა ძველებურად. ბერიკაცი უყურებდა შარაზე მომავალ ფოსტალიონს და ტანში სუსხავდა. ეს სუსხი უნებურად ჩნდებოდა. ჯერ მკერდში გაკეწწლავდა რაღაც ცივი და ალმასივით მჭრელი. მერე დაჰყვებოდა ის შეჩვენებული, სერავდა და სერავდა ბერიკაცის ისედაც დაჭეჭკილ სხეულს. მაგრამ გარეგნულად ბერიკაცს არაფერი ეტყობოდა. იდგა. უცდიდა. სერაპიონი კი განგებ აითრევდა ფეხს. თავს ჩაღუნავდა. სხვა გზა რომ ყოფილიყო კიდევ ამ სოფელში, იგი, ალბათ, არასოდეს გამოივლიდა აქეთ. მაგრამ სოფელში ერთადერთი გზა იყო და ის ერთადერთი გზა მაინცდამაინც ბერიკაცის ჭიშკართან ჩადიოდა. „გამარჯობა, სერაპიონ!“ დაძლევდა ჟრჟოლას ბერიკაცი და წინ წადგამდა ფეხს. „გაგიმარჯოს“, — ცივად უპასუხებდა ფოსტალიონი და არც ამოხედავდა. „რავა გადიდკაცდი, გამოიარე ჩვენთანაც. კერა დამილოცე“. „აჰ“ თითქოს გამოერკვეოდა ხეიბარი, თავს გააქნევდა, უხერხულად გაიღიმებდა. მერე, მერეო, იტყოდა და წავიდოდა. მაგრამ ეს „მერე“ მარადისობად იქცა.

ახლა, რკინიგზის ამ პატარა დუქანში ჩამომჯდარი ბერიკაცი საშინელ მოთენთილობას გრძნობდა. შორს, ჰორიზონტზე აჭვინტულ მთათა თხემებს გაჰყურებდა. ქარი ქროდა და არხეინად ხეთა კენწეროებს ბაღის ბოლოში. წვიმას რახანია გადაეღო და ცა თანდათან მოსინათლდა, ირგვლივ ყველაფერი, პატარა გუბე, თოვლით მოფენილი ფერდობი, ფურნეს სახურავი და სარკმლები გაეღეთილიყო მიმწუხრის მეწამული შუქით. გზის გადაღმა, ბაქანზე ჩიტები ჟივჟივებდნენ. სადღაც მატარებელი მიჩაჩქანებდა... და ეს ყველაფერი ისე ლამაზი იყო, ისე მომხიბვლელი, რომ ბერიკაცმა გაიფიქრა, როცა ადამიანები კვდებიან და ხეთა შრიალიც აღარ ისმის, რაღასთვისაა ზამთრის ეს მომაბეზრებელი სურნელი, რაღასთვისაა ეს ახალი წელი და მეწამული ფერი ჭოტა ბორცვებზე. ბორცვები უკაცრიელნი და მიუვალნი ხდებიან. აღარც ჩიტების ჭივჭივი გიტაცებს. ირგვლივ მხოლოდ ტიტველი კლდეებია და კლდე გიდევს გულშიც...

ასე ფიქრობდა ომსა და ქვეყანაზე გაბრაზებული რკინიგზის დარაჯი და ღვინოს წრუპავდა. თვალები დაეხუჭა და ისე წრუპავდა. სადღაც, გონების კუნჭულში იგი ხედავდ ეშელონს, რომელიც სწრაფად მოსცილდა ბაქანს, ხედავდა, როგორ დაკეტეს დაკოჭრილმა ხელებმა შლაგბაუმი და როგორ დაეკიდა გახუნებული ქუდის წინსაფარს წვიმის წვეთები...

დუქანში თამბაქოსა და კიდევ რაღაც სომყრალის სუნი ტრიალებდა. მოშორებით, გრძელ მაგიდასთან ჯარისკაცები ისხდნენ და სვამდნენ. მათ თავიდანვე შენიშნეს ბერიკაცი, მოეწონათ მისი სანდომიანი ჭაღარა და დაუძახეს, თუ გვეკადრებ, შემოგვეერთდიო.

ბერიკაცმა უნათოდ გაიღიმა, მერე ხელი დაავლო თავის პატარა ბადურას და ჯარისკაცების მაგიდასთან გადაინაცვლა.

— აქაური არ იქნები, — ჰკითხა ერთმა.

— არც მთლად შორებელი ვარ.

— გასაყიდს ჩამოიტანდი რამეს.

— რა მაქვს გასაყიდი, მარა გაჭირვებას რა ვუთხრა. გამტეხა ამ წყეულმა ომმა. ცოტა ჭაჭა მაქვს.

— ჰოო, მოდი ახლა ჩვენი ჭაჭაც გასინჯე.

— აპა, პა! — ხელი აიქნია ბერიკაცმა. — რო არ ვსვამ, შვილებო?

— ნუ გვაწყენინებ, ბიძია, ფრონტზე მივდივართ. გზა დაგვიოლეც.

ბერიკაცი ჩაფიქრდა, მერე რაღაც წაიჩიფჩიფა, წარბები მოჭმუხნა, ღრმად ამოისუნთქა და სავსე ჭიქა თვალისმახამხამებაში გადახუხა. მაგრამ მერე მაინც დაიჭყანა, თვალებში ცრემლები მოაწვა.

— აგაშენა ღმერთმა! მაგარია, ა?

— აგია არ ვსვამო?

— შორიდან რო შეგხედეთ, ჩემი ბიჭი გამახსენდა. ისიც ფრონტზეა. აგერ წელიწადი სრულდება, არაფერი ვიცი. ამიტომ მოვედი ასე თამამად. სხვანაირად არ ჩამითვალოთ.

— რას ამბობს? — იკითხა რუსმა, რომელიც ძალზე დიდი ტანისა გახლდათ და ანდრიუშას ეძახდა ყველა.

წითურმა ჯარისკაცმა უთარგმნა.

— მაშასადამე, შვილი ფრონტზე ჰყავს? — წარმოთქვა რუსულად.

— კი, ბატონო, — მიუხვდა ბერიკაცი, მერე წითურს მიუბრუნდა და ნაღვლიანად უთხრა: — ჩემს თავს არ ვჩივი, გავუძლებ, პატარა ბავშვს რა ვუყო, დღედაღამ მამას იგონებს. მატარებლებს ხვდება და როგორც კი მოჰკრავს ეშელონს თვალს, ხელს უქნევს, მამაჩემთან მიდიანო.

— საწყალი! — ამოიოხრა წითურმა.

— რას ამბობს? — ისევ იკითხა ანდრიუშამ.

— შვილს პატარა გოგონა დარჩენია... — კვლავ უთარგმნა.

— იმ კოჭლაბუხა ფოსტალიონმაც მომიძულა და მიმაგდო ბედის ანაბრად. არც შემომხედავს, ისე გამიელის გვერდით — თითქოს ეჩქარება... მაგრამ გული მიგრძნობს, რაღაც იცის და მიმალავს...

ანდრიუშამ ისევ ჩამოასხა არაყი. ბერიკაცს აღარ დასჭირებია პატიჟი. სოიანარევ მჭადს ყუა ჩამოტეხა, მერე ჯიბიდან ნიორი ამოიღო, თავი გაუფცქვნა და მჭადის ქერქს რამდენჯერმე გაუსვ-გამოუსვა. „დათვრება“, გაიფიქრეს ჯარისკაცებმა. მაგრამ არ დაუშალეს. ბერიკაცი კი ლაპარაკობდა, თვითონაც არ იცოდა, რათ ლაპარაკობდა ამდენს. ჯარისკაცების სახეზე თანაგრძნობას ამჩნევდა და ჰყვებოდა თავის ცხოვრებაზე, გულს იოხებდა, იფხანდა. — სანამ წერილები მოდიოდა, ყოველდღე ჩვენთან იყო ის შეჩვენებული, სანთლის არაყი გამოულეველი მქონდა, ვწრუპავდით და ვიყავით ბედნიერად. მერე ერთ კვირა დილას ძალზე ადრე მოვიდა, თვალი დასიებული ჰქონდა. ბევრი დალია, მაგრამ არ დათვრა, არც მოეკიდა. სულ ჩემს ბადიშს — ნანას ეფერებოდა. გვერდით ეჯდა და ეფერებოდა. თან ჩუმად ოხრავდა. ის დღე იყო და მას მერე სათოფედაც არ მეკარება. რა ვაწყენინე იმ შეჩვენებულს, რო მომიძულა და მიმაგდო... — ბერიკაცმა ჭიქა ასწია, სინათლეზე გახედა.

— შორს ცხოვრობ? — ჰკითხეს ჯარისკაცებმა.

ბერიკაცმა არაყი გადაკრა, მერე ცარიელი ჭიქა საინზე დადო და თქვა, საიდანაც იყო.

— ორი გაჩერება ყოფილა აქედან, — უთარგმნა წითურმა ანდრიუშას.

— ჰო, — თქვა ბერიკაცმა, — ჩემი სახლი ბაჭინიდან ორი წუთის სავალზეა. ეზოში იმოდენა ცაცხვი დგას, რომ წვერით ცას ებჯინება. თავის დროზე შეძლებულ ოჯახად ვითვლებოდი. მარა კაი ოჯახს კაი მოვლა და პატრონობა უნდა. მე კი, აბა, სად შემიძლია. რძალი ამ ერთადერთი ბავშვის მშობიარობას გადაჰყვა. ბიჭი კი... ა, ვარ ასე ბებერ ხესავით კერკეტა და გულგამოცლილი. ალბათ, ეს პატარა ღლაპი მასულდგმულებს... აგერ მეორე ახალი წელი დგება. თვალს ვერ ვუსწორებ. საშინელი მგრძნობიარე და სიტყვაძუნწი გახდა. ჯერ სდუმს, სდუმს, გიყურებს, გათვალიერებს, მერე რაღაც უცნაურად აახმახმებს თავის გრძელ წამწამებს და ნაღვლიანად მკითხავს: „იქნებ ამ ახალ წელს მაინც მოგვიტანოს თოვლის პაპამ საჩუქრები?“. რა უნდა ვუპასუხო? მანამდე ყოველ ახალ წელს, სანამ ეს წყეული ომი დაიწყებოდა, ერთი უზარმაზარი ჯუბა გვქონდა ცხვრის ტყავისა, გამოეწყობოდა ჩემი ბიჭი იმ ჯუბაში, გაიკეთებდა მატყლის ულვაშებს, თავზე ბოხოხს დაიხურავდა და შუაღამისას, როცა სოფელი შუშხუნებით გაბჟღიალდებოდა, სიმღერით მოადგებოდა ფანჯარას. მღეროდა და თან ჯოხით უკაკუნებდა მინაზე: „კარი გამიღეთ, თოვლის პაპა მოვედი და პატარა ნანას საჩუქრები მოვუტანეო“. ეჰ, რა დრო იყო მაშინ, რა დრო... ჩვენს ცუგრუმელას კი აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს მამამისი იყო, სჯეროდა, რომ ნამდვილ თოვლის პაპას მოჰქონდა საჩუქრები; და მერე უნდა გენახათ, რა გახარებული გვიჩვენებდა კალათს, რომელშიც ნაირნაირი სათამაშოები ეწყო...

— ჰო!.. — ამოიოხრეს ჯარისკაცებმა.

— ცოდვაა, — დაუმატა ანდრიუშამ. მას სახეზე ჭრილობა ჰქონდა. ჭრილობა ახალშეხორცებული იყო და მთელ სახეს უმახინჯებდა.

მოხუცმა თავი ჩაქინდრა. იგი შეთვრა, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. კიდევ უფრო მოიღუშა და გოროზი სახე გაუხდა. ცოტა ხნის მერე მან თქვა: როცა თქვენ დაგინახეთ, ჩემი ბიჭი გამახსენდა. ამიტომ გამომწია გულმა. სხვანაირად არ ჩამომართვათ, მე ხომ ერთი გამოჩერჩეტებული ბებერი ვარ...

* * *

იმ ღამეს სადგურზე ეძინა. მერე ბაზარში გაიარა, ერთ პურსა და ათ ცალ ფორთოხალში გაცვალა დარჩენილი არაყი. მერე ვიღაცას ერთი მუჭა კამფეტი გამოართვა, რადგან მეტი ფული აღარ ჰქონდა; და უკვე კარგა გათენებული იყო, როცა შინ დაბრუნდა. ბავშვს ეძინა, მაგრამ როგორც კი გაიგონა ნაბიჯების ხმა, მაშინვე წამოჰყო თავი.

— მე ისე გიცდიდი... — თქვა მან.

— ვიცი, — უპასუხა ბერიკაცმა და თვალი აარიდა.

— რატომ არ მოხვედი ღამით, მე ხომ გითხარი, თოვლის ბაბუა უსათუოდ მომიტანს-მეთქი საჩუქარს და მომიტანა კიდეც.

მოხუცი გაშეშდა.

— საჩუქარი?

— ჰო, აი ეს კალათა. მე შენ გიცდიდი, ძალიან ბნელოდა, ბებომ მითხრა, დაიძინეო, მე კი მაინც არ დავიძინე. ვიჯექი ფანჯარასთან და უცებ ვიღაცამ დააკაკუნა. სულ ისე დააკაკუნა, როგორც წინათ... მღეროდა, თანაც ისე დიდხანს და სასაცილოდ მღეროდა: „ნანა, კარები გაგვიღე, თოვლის ბაბუამ საჩუქრები მოგიტანაო“.

— მერე? — იკითხა მოხუცმა, — შენ გაუღე?..

— ბებომ გაუღო, ისინი ისეთი კარგი და სასაცილო ძიები იყვნენ, ეს კალათა დამიტოვეს და იცი, ერთმა რა მკითხა? მამაშენი მაღალი თუ არისო. მე ვუთხარი, აი ამხელაა-მეთქი, ჭერს სწვდება-მეთქი; და იმანაც გაიცინა, — ბაყბაყდევი ყოფილაო. რაა ბაყბაყდევი?

მოხუცს საკუთარი გულისცემა ესმოდა. გრძნობდა, როგორ გუგუნებდა რაღაც, იქ, მკერდის სიღრმეში. იგი უყურებდა გოგონას, დაჟინებით უყურებდა და თრთოდა. ბოლოს კალათს დასწვდა და ჩაიხედა. რა არ იღო შიგ — ბრჭყვიალა ქაღალდებში გახვეული კამფეტები, ორი უზარმაზარი პური და თოვლივით თეთრი კაბა... მერე სათამაშოები... როცა მოხუცმა ყველაფერი ამოალაგა, კალათის ფსკერზე ბარათი იპოვა: „პატარა ნანას თოვლის ბაბუასაგან“.

— რამდენი იყვნენ? — იკითხა ბოლოს.

გოგონა ჩაფიქრდა. მერე თითები მოიშველია:

— ერთი... ორი... სამი!.. ერთს კი სახეზე წითელი ხაზი ჰქონდა, აი, ასე, მთელ სახეზე...

ბერიკაცი სარკმელთან იდგა და ჩიბუხს აბოლებდა...

როდის იწყება ახალი წელი?

თბილისში მცხოვრები დაუფიქრებლად გიპასუხებთ: 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე. ეს სწორია, მაგრამ განა ყველგან პირველ იანვარს იწყება ახალი წელი?

მსოფლიოში რამდენიმე ათეული კალენდარია, სხვადასხვანაირად ხდება წელთაღრიცხვა და, ცხადია, ახალ წელსაც სხვადასხვანაირად და სხვადასხვა დროს ეგებებიან.

განვითარების დაბალ დონეზე მყოფმა ხალხებმა საერთოდ არ იცოდნენ ახალი წელი, მით უმეტეს, მათ არავითარი წელთაღრიცხვა რა გააჩნდათ.

ცნობილი რუსი მეცნიერი მიკლუხო-მაკლაი, რომელმაც დიდი ხანი დაჰყო კუნძულ ახალი გვინეის კაციჭამია ტომებთან, მოგვითხრობს, რომ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ყოველი ახალი წელთაღრიცხვა იწყება მუსონური წვიმების დასაწყისიდან, ე. ი. გაზაფხულზე, თუმცა, როგორც ცნობილია, მუსონების მოსვლას რაიმე გარკვეული თარიღი არ გააჩნია.

ძველი ეგვიპტელების ყოველი ახალი წელიწადი დაკავშირებული იყო ვარსკვლავ სირიუსის გამოჩენასთან გაზაფხულზე, როდესაც იწყებოდა ნილოსის ადიდება. ამ დროს ხალხი გამოეფინებოდა ველ-მინდვრებზე, მხიარულობდა და ერთმანეთს ულოცავდა ახალ წელს — ნილოსის ადიდების დასაწყისს.

თუ თქვენ ინდოელს შეეკითხებით, როდის ხვდება ახალ წელს, იგი შეკითხვითვე მოგმართავთ „რომელ ახალ წელს გულისხმობთ?“ თურმე ნუ იტყვით, ინდოეთში რამდენიმე ოფიციალური სამოქალაქო და კიდევ უფრო მეტი არაოფიციალური რელიგიური კალენდარი არსებობს. ამიტომ სხვადასხვა კალენდრის მიხედვით ახალი წელიც სხვადასხვა დროს იწყება. მაგალითად, მზე-მთვარის კალენდარით ახალი წელი იწყება ხან 21 მარტს, ხან 21 სექტემბერს, ხან 12-13 აპრილს, ხან — 13-14 ოქტომბერს; „ეიკრამ სამკატის“ კალენდარის მიხედვით კი — 14 აპრილს.

ზოგი ხალხი ახალი წლის დღესასწაულს ბუნების რომელიმე მოვლენას ან მოსავლის აღების პერიოდს უკავშირებს.

ჩინეთსა და ჩრდილოეთ ვიეტნამში 17 თებერვალს იწყება „გაზაფხულის დღესასწაული“, სამხრეთ ვიეტნამში კი ახალი წელი ბრინჯის თესვის შემდეგ იწყება.

ინგლისში ახალ წელს ისე არ ხვდებიან, როგორც ჩვენში. იქ ახალი წელი ორ დღეს — 1 და 2 იანვარს გრძელდება, პოლონეთში კი საახალწლო დღესასწაული 10-12 დღეს მიმდინარეობს.

ბირმაში ახალი წელი წლის ყველაზე ცხელ პერიოდს ემთხვევა და ამ დღეებში იწყება ე. წ. „წყლის დღესასწაული“. დღესასწაულის დროს გამოყენებულია წყლის შესხმა-გაწუწვის ყველა საშუალება. მხოლოდ ბერებისა და ფოსტალიონების გაწუწვა არ შეიძლება.

ძველ რუსეთში ახალ წელს 1 სექტემბერს ეგებებოდნენ, ხოლო პეტრე 1 ბრძანებით, 1699 წლის 31 დეკემბრიდან შემოღებული იქნა გრიგორიანული კალენდარი წლის 1 იანვრიდან აღრიცხვით.

ბიზანტიის იმპერიაში ახალი წელი 1 მარტიდან იწყებოდა, ძველ რომში კი 22 მარტს — გაზაფხულის ბუნიობის დროს. ამ დღეს რომში, წმინდა პეტრეს ტაძარში იკრიბებოდნენ ქურუმები. მათი აზრით, ღმერთი ატისი, ეგვიპტელთა ოსირისის მსგავსად, ყოველწლიურად კვდებოდა, მარტში კი მკვდრეთით აღსდგებოდა. ამიტომ იყო, რომ ძველ რომში წელიწადი მარტით იწყებოდა და ათი თვისაგან შედგებოდა. შემდეგ რომაელებმა წელიწადს ორი თვე — იანვარი და თებერვალი დაუმატეს და მარტის წინ დააყენეს. ახალი წლის აღნიშვნაც იანვრიდან დაიწყეს, რადგანაც ამ თვეში ხდებოდა რომის სახელმწიფო მოხელეების მიერ თანამდებობათა დაკავება. შემთხვევითი არ არის, რომ პირველ თვეს რომაელებმა იანვარი უწოდეს — ორსახოვანი ღმერთის იანუსის სახელი. ლათინურად იანუს ნიშნავს ყოველივეს დასაწყისსა და დასასრულს. ამიტომ წლის დასაწყის თვეს იანუარი — იანვარი შეარქვეს.


ძველ საქართველოში ახალი წელი სექტემბრიდან იწყებოდა და სექტემბრის თვეს ახალწლისა ეწოდებოდა.

მუსულმანური კალენდრის ჰიჯრა-შამასას მიხედვით ახალი წელი — ნოვრუზი გაზაფხულის ბუნიობას, 21-22— მარტს ემთხვევა.

ამჟამად ხალხთა შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებამ, მათმა დაახლოებამ მწვავედ დააყენა ერთიანი მსოფლიო კალენდრის შექმნის საკითხი.

ჯერ კიდევ 1922 წელს ერთა ლიგაში შეიქმნა „კალენდრის რეფორმის საერთაშორისო კომიტეტი“, რომელმაც ახალი კალენდრის 200 პროექტი განიხილა. მოწონებული იქნა ახალი ინდური კალენდარი, რომლის შემოღება 1939 წელს უნდოდათ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა ამ რეფორმას ხელი შეუშალა.

1953 და 1955 წლებში გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა, რომ ახალი კალენდარი შემოღებულიყო 1956 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ „რელიგიური მოსაზრებების“ გამო თავი შეიკავა ახალი კალენდრის მიღებაზე. არც 1961 წელს მოხერხდა მისი შემოღება, ამიტომ ახალი მსოფლიო კალენდრის შემოღება ისევ გადაიდო.



— გილოცავ ახალ წელს!..

სპორტული მიმოხილვა

სეზონის ლაურეატები

გასული წელი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. და ახლა, როდესაც მომავალს ვეგებებით ახალი იმედებითა და სურვილებით, როდესაც ჯამდება განვლილი წელიწადი, ჩვენც გადავხედოთ სპორტულ მიღწევებს, რომლებიც საქართველოს საერთაშორისო თუ საკავშირო ასპარეზობებზე ჰქონდა.

გასულ წელს საქართველოს სპორტსმენებმა ასამდე ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატებში. ყველა წარმატების ჩამოთვლას არ შევუდგებით, წლის განმავლობაში ჩვენი მიმოხილვების საშუალებით ყველა მათგანის საქმის კურსში იყავით. ახლა კი წესისამებრ, როგორც ეს შარშან იყო, ჩამოვთვალოთ ის 10 სპორტსმენი, რომლებიც აღიარებული არიან 1967 წლის ლაურეატებად.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ანკეტებმა ასეთი სურათი მოგვცა:

№ 1 სპორტსმენად დასახელებულია თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალური მცველი მურმან ხურცილავა (აღსანიშნავია, რომ იგი სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში ამავე წლის მიხედვით მეორე ადგილზეა). ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან ხურცილავას წარმატების მიზეზი. ეს ექსტრა-კლასის მოთამაშე ნამდვილი თანამედროვე ტიპის ფეხბურთელია, რომელიც არა მარტო ბრწყინვალედ ართმევს თავს დაცვას, არამედ აქტიურად მონაწილეობს შეტევაში. ამის მაგალითია ის გადამწყვეტი გოლები, რომლებიც მურთაზმა გაიტანა ნაკრების შემადგენლობაში.

მეორე ნომრად სიაში დასახელებულია კლასიკური სტილით მოჭიდავე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი რომან რურუა. იგი 1967 წელს მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მოიპოვა საუნბილეო სპარტაკიადის ოქროს მედალი და მსოფლიოს პირველობაზე საუკეთესო ტექნიკის მქონედ იქნა მიჩნეული.

კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზურაბ საპანდელიძე მესამე ადგილზეა. ზურაბი 1967 წელს ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ამავე დროს იგი ევროპის საუკეთესო მცველად იქნა აღიარებული.

სიაში მეოთხე ადგილზეა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამ შესანიშნავი სპორტსმენის წარმატებებზე. გასულ — 1967 წელს ალექსანდრემ მოიგო სსრ კავშირის ხალხთა მე-4 საუნივერსიადო სპარტაკიადა და ორი მსხვილი საერთაშორისო ტურნირი. გარდა ამისა, ისევე როგორც 1966 წელს, იგი სსრ კავშირის № 1 ჩოგბურთელად არის აღიარებული.

პირველად შევიდა ათეულში ძალოსნობის წარმომადგენელი. ეს გახლავთ დიმიტრი შანიძე. მან 1967 წელს ბრწყინვალე შედეგები მოიპოვა. მართალია, ვერ გახდა ჩემპიონი, მაგრამ სამჯერ გააუმჯობესა საკავშირო რეკორდები აჭიმვასა და ატაცებაში. ეს ახალგაზრდა ათლეტის კარგ პერსპექტივებზე მეტყველებს.

მეექვსე ნომერი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ფხაკაძე ცნობილი სპორტსმენია. მისი შესანიშნავი შედეგები ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გასულ წელს ომარი საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

ლიუდმილა ოვსტენა, რომელიც მეშვიდე ნომრით არის დასახელებული, პირველად შევიდა ათეულში. თბილისელი მძლეოსანი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა 80 მეტრზე თარჯრბენით რბენაში. ეს დიდი წარმატებაა.


კლდის ვეფხვი — ასე შეარქვეს სპორტის დამსახურებულ ოსტატს მიხეილ ხერგიანს მისი ოსტატობით განცვიფრებულმა შვეიცარიელებმა, როცა ალპების კლდოვან ციცაბოებს იპყრობდა იგი. მიხეილი, სვანეთის ამაყი შვილი, გასულ წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა კლდეზე ცოცვაში.

მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი სიაში მეცხრე რომ არის, ეს მის წარუმატებლობაზე როდი მეტყველებს. უბრალოდ, ნონას გასულ წელს არ ჰქონია სერიოზული შეჯიბრებები. მხოლოდ წლის ბოლოს მიიღონ მან მონაწილეობა ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც მესამე ადგილი დაიკავა.

სიაში ბოლო, მეათე ადგილზეა თავისუფალი სტილით მოჭიდავე, სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა ლომიძე. გასულ წელს მან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში ვერცხლის მედლები დაისაკუთრა. საიუბილეო სპარტაკიადაზე კი ოქროს მფლობელი გახდა.

აი ასეთია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა მიერ დასახელებული 1967 წლის საუკეთესო ათეული. გავახსენებთ, რომ № 1 სპორტსმენები საქართველოში იყვნენ 1964 წელს — ნონა გაფრინდაშვილი, 1965 წელს — ომარ ფხაკაძე, 1966 წელს ალექსანდრე მეტრეველი. როგორც ხედავთ, ყველა ისინი წარმოდგენილი არიან 1967 წლის ათეულშიც.

ო. ლორთქიფანიძე.



300 არაგველის ოგელისკი თბილისში, ორთაჭალაში.


თვითმოქმედ მსახიობთა გასტროლები

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სასლის თვითმოქმედ მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელიც შედიოდა საბჭოთა კავშირის პროფკავშირულ დელეგაციაში, ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა შვეიცის ქალაქებში საგასტროლო მოგზაურობიდან.

შვეიცის 18 ქალაქში გამართა 25 კონცერტი, და სადაც უნდა გამოსულიყვნენ ქართველი მსახიობები — ოფიციალურ დარბაზობებზე თუ სამრეწველო საწარმოთა მუშების წინაშე, ყველგან თან სდევდა წარმატება. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია ქართულმა ცეკვებმა. გაზეთები მათ აღტაცებულ რეცენზიებს უძღვნიდნენ, შესრულებლებს უწოდებდნენ „უმაღლესი კლასის მსახიობებს“. ჯგუფის პროგრამაში იყო აჭარული ცეკვა“, ცეკვა-შეჯიბრი“, „ფარიკაობა“, „საქორწილო“ და სხვ. დიდი წარმატება ხვდა წილად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტს გ. ზედგინიძეს, რომელმაც შეასრულა ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები და რომანსები.

გაზეთი „დაგენს ნიუპეტენი“ აღნიშნავდა, რომ „ეს კონცერტები ემსახურება არა მარტო ხელოვნების საქმეს, არამედ აგრეთვე შვეიცისა და სსრ კავშირის დაახლოებასა და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას“.

კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სასლი დიდი პოპულარობით სარგებლობს მშრომელებში. მისი თვითმოქმედი კოლექტივები ერთ-ერთი საუკეთესო არიან არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ ჩვენს ქვეყანაშიც. ქორეოგრაფიული ჯგუფები უკვე იყვნენ გასტროლებზე იაპონიასა და კუბაში. თვითმოქმედ ვოკალურ ინსტრუმენტულ კვარტეტს კონცერტები ჰქონდა იუგოსლავიის ქალაქებში. მაღალმა პროფესიულმა შესრულებამ, ქართულმა ხალხურმა მელოდიებმა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერებმა მოხიბლეს იუგოსლავი მსმენელები.



ა. ჟათიბაშვილი.



შ. თუშიშვილი.

დაგეძებენ, მოგელიან

შაქრო გიოს-ძე თუშიშვილს, დაბადებულს 1912 წელს თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, ეძებენ და — ნინო გიოს ასული, მეუღლე — ანიჩა მათეს ასული, შვილები — ლენა, ელზა, მარო თუშიშვილები.

არჩილ ნიკოს-ძე ჟათიბაშვილს, დაბადებულს 1910 წელს თელავის რაიონის სოფელ კონდოლში, ეძებენ მეუღლე — ნინო თუშიშვილი-ჟათიბაშვილისა და შვილი — ლია არჩილის ასული ჟათიბაშვილი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

მოისმინეთ საქართველოს

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია:

თბილისი, ზ. ანთონელის ქ. № 26.